სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსწავლეების ვიზიტის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში (შემდგომში - ,,თსუ-ის მუზეუმი“) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსწავლეების ვიზიტის წესი (შემდგომში -,,წესი’’) არეგულირებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსწავლეების ჯგუფის ვიზიტის განხორციელების საორგანიზაციო საკითხებს.

2. წინამდებარე წესის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა (შემდგომში - ,,სკოლა“) მოსწავლეების ვიზიტისას თსუ-ის მუზეუმში დაცული სამუზეუმო ნივთებისა და ექსპონატების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ძირითადი წესები

1. თსუ-ის მუზეუმში ვიზიტისას სკოლის მოსწავლეების ჯგუფს თან უნდა ახლდეს სრულწლოვანი პასუხისმგებელი პირი/პირები - წარმომადგენლები (მასწავლებლები, მშობლები). სკოლის მოსწავლეების ჯგუფის ვიზიტი პასუხისმგებელი პირის მიერ წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული თსუ-ის მუზეუმის ადმინისტრაციასთან.

2. თსუ-ის მუზეუმში ვიზიტის განხორციელება შესაძლებელია სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

3. თსუ-ის მუზეუმში ვიზიტისას:

ა) სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30 მოსწავლეს, რომელსაც თან უნდა ახლდეს არანაკლებ 2 პასუხისმგებელი პირი;

ბ) დაუშვებელია თსუ-ის მუზეუმში სკოლის მოსწავლეების სამუზეუმო ნივთებისა და ექსპონატების ხელით შეხება და დაზიანება.

4. გადაწყვეტილებას თუ რომელი კლასის მოსწავლეების ვიზიტია შესაძლებელი განხორციელდეს თსუ-ის მუზეუმში, იღებს თსუ-ის მუზეუმის ადმინისტრაცია.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა

ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.